

*ნინო ნემსიწვერიძე, თამაზ ჭუმბურიძე, ეკა ფრუიძე, ნესტან ნიკურაძე,
თეა ზარქუა, მაკა გელაშვილი*
ფარმაცევტული ზრუნვა კოვიდ-19 პანდემიის დროს
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სოციალური და კლინიკური
ფარმაციის დეპარტამენტი

*NINO NEMSITSVERIDZE, TAMAZ TCHUMBURIDZE, EKA PRUIDZE,
NESTAN NIKURADZE, TEA ZARKUA, MAKА GELASHVILI*
PHARMACEUTICAL CARE IN TIMES OF COVID-19 PANDEMIC
Tbilisi State Medical University, Department of Social and Clinical Pharmacy

SUMMARY

The article discusses the peculiarities of pharmaceutical care in relation to the Covid-19 pandemic. A pharmaceutical care algorithm was developed and tested on people who displayed cold symptoms during the pandemic. 50 patients (with flu and cold symptoms) who visited the pharmacy were interviewed using the Pharmaceutical Care Algorithm. The results showed that 41 patients only had mild symptoms, while 9 out of 50 had probable symptoms of Covid 19. Patients were referred to the physicians for further examination. An appropriate pharmaceutical care plan was developed. The Covid-19 pandemic has further showcased a function of the pharmacist as a provider of appropriate care in a pharmacy facility. It showed us that a pharmacist has a vital role in preventing the pandemic, both by properly informing patients and by implementing an appropriate pharmaceutical care plan. In view of all the above, it is now vital to maintain an already developed algorithm and further update it based on how the pandemic progresses.

Keywords: covid-19, pandemic, pharmaceutical care

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში შეინიშნება ყურადღების გადატანა ტრადიციული ფარმაცევტული საქმიანობიდან, (აფთიაქში წამლის მომზადება) პაციენტისათვის ჯანდაცვის სერვისის მიწოდების საკითხებზე [1,2]. ფარმაცევტის ჩართულობის საკითხი ჯანდაცვის სისტემის პირველ რგოლში კიდევ უფრო მკაფიოდ გამოვლინდა ახალი კორონა ვირუსის (COVID – 19) პანდემიის დროს [5,8]. კლინიკური მართვის პროტოკოლის დოკუმენტის მიხედვით: ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) სიმპტომებია ცხელება >90%, ხველა - 75%, მიაღვია და სისუსტე - 44%, ლეიკოპენია, სველი ხველა - 28%, თავის ტკივილი <10%, თირკმლის ფუნქციის დაქვეითება, კატარი, ჰემოპტოზი - 5%, დიარეა - 3%, მრდს - 15% [5,6].

COVID-19 გადაცემა ხდება წვეთოვანი და კონტაქტური გზით [6,7].

შემთხვევათა უმრავლესობაში ინფიცირება ხდება სიმპტომურ პაციენტებთან მჭიდრო კონტაქტით. ინფექციის წყარო შესაძლოა ასევე იყოს ასიმპტომური ინფექციის მქონე პაციენტი [4,5]. აფთიაქში პანდემიის პირველივე დღეებიდან გაიზარდა მოთხოვნა კოვიდ 19-ის პრევენციის საშუალებებზე. კერძოდ: პირბადეებზე, სამედიცინო სპირტზე, წყალბადის ზეჟანგზე, ანტიბაქტერიულ ხელსახოცებზე, სადეზინფექციო ხსნარებზე, ბინტზე, სამედიცინო ხელთათმანებზე, ანტიპირეტურ საშუალებებზე, ანალგეტიკებზე, პარაცეტამოლსა და იმუნიტეტის ასამაღლებელ საშუალებებზე, აგრეთვე ვიტამინ C და ვიტამინ D-ზე.

კორონა ვირუსის პანდემიის დაწყებიდან დღემდე ფარმაცევტები და ექიმები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მაქსიმალური დახმარება და პროფილაქტიკა გაუწიონ მოსახლეობას. შესაბამისად, დღეისათვის ფარმაცევტების ზრუნვა

განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, დაავადების აღმოფხვრის, მისი სიმპტომების გამოვლენის და პრევენციული ღონისძიებების გატარების საკითხებში.

კვლევის მიზანს შეადგენდა ფარმაცევტული ზრუნვის თავისებურებების შესწავლა კოვიდ ვირუსის პანდემიის დროს; კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შესაბამისი ალგორითმის შემუშავება, რომელიც დაეხმარება ფარმაცევტს საუბრის საფუძველზე შეძლოს სწორად შეაფასოს პაციენტის მდგომარეობა და განახორციელოს ზრუნვის საჭირო გეგმა.

კვლევის მეთოდი. აფთიაქში შემოსული პაციენტების გამოკითხვა, კორონავირუსის შესაძლო შემთხვევების გამოვლენის მიზნით, ხორციელდებოდა სპეციალური კითხვარის საშუალებით.

კვლევის შედეგები. პანდემიის პრევენციის რეკომენდაციები გაიცემოდა ყველა დაინტერესებული პაციენტისათვის, აქცენტი კეთდებოდა რისკ ჯგუფზე: ასაკოვნებზე და ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებზე: ჰიპერტონიული და გულ-სისხლძარღვთა სისტემის სხვა დაავადების მქონე, დიაბეტიანებსა და ონკო პაციენტებზე.

ფარმაცევტული ზრუნვისას პაციენტს უტარდებოდა ინსტრუქტაჟი პრევენციული ღონისძიებების შესახებ:

- სოციალური და ფიზიკური დისტანციის დაცვა;
- ხელების ხშირი დაბანა საპნით;
- სახეზე/ თვალში / პირზე ხელის შეხებისგან თავის არიდება;
- პირბადის სწორად გამოყენება;
- ჰიგიენის დაცვა და ხელების ანტისეპტიური ხსნარით დამუშავება;
- ხველისა და ცემინების ეტიკეტის დაცვა;
- ქუჩაში ცხოველებთან კონტაქტისგან თავის არიდება;
- რესპირატორული ინფექციის მქონე პირებისთან დისტანციის დაცვა;
- შესაძლო ინფექციის გამოვლენის შესახებ სამედიცინო სამსახურის ინფორმირება, ცხელი ხაზის გამოყენება.

აფთიაქში გრიპისა და მწვავე რესპირატორული ინფექციებით შემოსული პაციენტებისათვის ფარმაცევტული მომსახურებისთვის დამუშავდა ფარმაცევტული ზრუნვის ალგორითმი: თუ პაციენტი აფთიაქში შემოვიდა ჩივილებით, ფარმაცევტი არკვევს ხომ არ აღენიშნება პაციენტის ისეთი სიმპტომები, როგორცაა ტემპერატურის მატება, კონტაქტი კოვიდ ინფიცირებულთან, ხომ არ აღინიშნება გემოს და სუნის შეგრძნების დაკარგვა, ხომ არ უჩივის პაციენტი სისუსტეს, ყელის, ზურგის ან წელის ტკივილს, სუნთქვის გაძნელებას, ადგენენ ხომ არ მიეკუთვნება პაციენტი რისკ ჯგუფს (ასაკი, ორსულობა, ქრონიკული დაავადებები).

პანდემიის პერიოდში (2 თვის განმავლობაში) ფარმაცევტული ზრუნვის ალგორითმის საშუალებით გამოიკითხა აფთიაქში შემოსული 50 პაციენტი (რომელთაც აღენიშნებოდათ გრიპის და გაციების სიმპტომები). აქედან დადგინდა, რომ 41 პაციენტს აღენიშნებოდა მხოლოდ მსუბუქი სიმპტომატიკა, ხოლო 50-დან 9 პაციენტს სავარაუდოდ ჰქონდა კოვიდ 19-ის სიმპტომები. შემდგომი გამოკვლევისთვის ეს პაციენტები ექიმთან გადაამისამართეს.

შემუშავდა ფარმაცევტული ზრუნვის გეგმა, რომელიც მოიცავს რეკომენდაციებს პაციენტისათვის, თუ როგორ უნდა მიიღოს საჭირო მედიკამენტი სიმპტომების გაქრობამდე. გაიზომოს სიცხე დილა საღამოს, თუ ტემპერატურა იმატებს ან ტკივილი ძლიერდება, დაუყონებლივ მიმართოს გადაუდებელ დახმარებას, ოჯახის ექიმს ან სამედიცინო დაწესებულებას, სამედიცინო დახმარების დროული აღმოჩენისათვის. ყელის მსუბუქი ტკივილისას რეკომენდებულია ანტისეპტიური და მცენარეული ეთერზეთების შემცველი საწუწნი ტაბლეტების გამოყენება.

დასკვნა. გამოკითხული პაციენტების მონაცემებზე დაყრდნობით, პანდემიის დროს გაციების სიმპტომებით მომართვიანობისას, ჩამოვყალიბეთ შესაბამისი ფარმაცევტული ზრუნვის გეგმა, რომელიც მოიცავს ყველა იმ რეკომენდაციას რომელიც ფარმაცევტმა შეიძლება მისცეს პაციენტს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოავლინოს სავარაუდო, ან საშიში სიმპტომები და საჭიროების შემთხვევაში გადაამისამართოს ექიმთან. კოვიდ-19-ის პანდემიამ კიდევ უფრო გამოავლინა ფარმაცევტის, როგორც შესაბამისი ზრუნვის განხორციელების ფუნქცია. დაგვანახა, ფარმაცევტებს მნიშვნელოვანი როლი პანდემიის პრევენციაში, როგორც პაციენტების სწორი ინფორმირებით, ასევე შესაბამისი ფარმაცევტული ზრუნვის გეგმის განხორციელებით. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე დღეს აუცილებლობას წარმოადგენს აწ უკვე შემუშავებული ალგორითმის შენარჩუნება/განახლება პანდემიის მდგომარეობიდან გამომდინარე. 2020-ის შემოდგომის დინამიკა გვიჩვენებს, რომ კოვიდ-19-ის პანდემიას პლატოსთვის არ მიუღწევია. ამას ემატება ზამთრის სეზონური გრიპების პერიოდიც, რაც კიდევ უფრო დიდი გამოწვევის წინაშე დააყენებს ჯანდაცვის სისტემას. შესაბამისად, სააფთიაქო დაწესებულებები მუდმივ მზაობაში უნდა იყოს ფარმაცევტული და მატერიალური რესურსების თვალსაზრისით, რათა მუდმივი სწავლების ფონზე განხორციელდეს სათანადო დონის ფარმაცევტული ზრუნვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.paho.org/bra/index.php?option=com_docman&view=download&alias=805-good-pharmacy-practice-gpp-in-community-hospital-settings-5&category_slug=vigilancia-sanitaria-959&Itemid=965
2. ფარმაცევტული ზრუნვა. თ.ჭუმბურიძე, ნ.ნემსიწვერიძე, ე.ფრუიძე და სხვ. თბილისი 2019. 115 გვ.
3. ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (კოვიდ-19) კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი)
4. <https://www.worldometers.info/coronavirus>
5. www.fip.org/coronavirus
6. webpage <https://www.worldometers.info/coronavirus/> and/or the webpage developed by the Center for Systems Science and Engineering at Johns Hopkins University.
7. <https://www.finddx.org/covid-19/pipeline/>
8. World Health Organization. (2020, March 9). *Q&A on coronaviruses*. Retrieved from <https://www.who.int/news-room/q-a-detail/q-a-coronaviruses>

*НИНО НЕМСИТСВЕРИДЗЕ, ТАМАЗ ЧУМБУРИДЗЕ, ЭКА ПРУИДЗЕ,
НЕСТАН НИКУРАДЗЕ, ТЕА ЗАРКУА, МАКА ГЕЛАШВИЛИ*
ФАРМАЦЕВТИЧЕСКАЯ ПОМОЩЬ ВО ВРЕМЯ ПАНДЕМИИ COVID-19

Тбилисский Государственный Медицинский Университет, Кафедра социальной и
клинической фармации

РЕЗЮМЕ

В статье рассматриваются особенности фармацевтической помощи в связи с пандемией Covid-19. Алгоритм фармацевтической помощи был разработан и протестирован на людях, у которых во время пандемии проявлялись симптомы простуды. 50 пациентов (с симптомами гриппа и простуды), посетивших аптеку, были опрошены с использованием алгоритма фармацевтической помощи. Результаты показали, что у 41 пациента были только легкие симптомы, в то время как 9 из 50 имели вероятные симптомы Covid 19. Пациенты были направлены к врачам для дальнейшего обследования. Был

разработан соответствующий план фармацевтической помощи. Пандемия Covid-19 также продемонстрировала функцию фармацевта как поставщика соответствующей помощи в аптеке. Он показал нам, что фармацевт играет жизненно важную роль в предотвращении пандемии, как путем надлежащего информирования пациентов, так и путем реализации соответствующего плана оказания фармацевтической помощи. Ввиду всего вышесказанного сейчас жизненно важно поддерживать уже разработанный алгоритм и дополнительно обновлять его в зависимости от того, как прогрессирует пандемия.

*ნინო ნემსიწვერიძე, თამაზ ჭუმბურიძე, ეკა ფრუიძე, ნესტან ნიკურაძე,
თეა ზარქუა, მაკა გელაშვილი*

ფარმაცევტული ზრუნვა კოვიდ-19 პანდემიის დროს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სოციალური და კლინიკური
ფარმაციის დეპარტამენტი

რეზიუმე

სტატიაში განიხილება ფარმაცევტული ზრუნვის თავისებურებები კოვიდ-19 პანდემიის პირობებში. მომზადდა და აპრობირებული იქნა ფარმაცევტული ზრუნვის ალგორითმი პანდემიის დროს გაციების სიმპტომებით მომართვიანობისას, შემუშავდა ფარმაცევტული ზრუნვის ალგორითმი, რომლითაც გამოიკითხულ იქნა ავთიაქში შემოსული 50 პაციენტი გრიპის ან გაციების სიმპტომებით. დადგინდა, რომ 41 პაციენტს აღნიშნებოდა, მხოლოდ მსუბუქი სიმპტომები, ხოლო 50-დან 9 პაციენტს სავარაუდოდ ჰქონდა კოვიდ 19. აღნიშნული პაციენტები შემდგომი გამოკვლევისთვის გადამისამართებულ იქნენ ექიმთან. კოვიდ-19-ის პანდემიამ დაგვანახა ფარმაცევტების მნიშვნელოვანი როლი კოვიდითან ბრძოლის პრევენციაში, როგორც პაციენტების ინფორმირებით, ასევე შესაბამისი ფარმაცევტული ზრუნვის გეგმის განხორციელებით. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ალგორითმის გამოყენება და მისი შემდგომი სრულყოფა კიდევ უფრო გააუმჯობესებს ფარმაცევტული ზრუნვის განხორციელებას კოვიდ ინფექციასთან ბრძოლაში.

